ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №159

2011 წლის 15 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №28-ის მიმდებარე 292.0 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №28-ის მიმდებარე 292.0 კვ.მ. (ს/კ №20.42.07.142) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასი განისაზღვროს 6500 (ექვსი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ქ. ქობულეთი თავისუფლების ქუჩა №28-ის მიმდებარე 292.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე